

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოფიციალური
ვებ-გვერდის (www.treasury.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და
ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 10 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge





საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახელმწიფო ხაზინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
www.treasury.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით





საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისალების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის უფროსის მოადგილეების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისალების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ხაზინის სტრუქტურა“ მოცემულია უფროსისა და მოადგილეების მხოლოდ სახელები და გვარები:

მთავარი	ხაზინის შესახებ	ნორმატიული ბაზა	სახაზინო კოდები	სახაზინო ვალდებულებები
---------	-----------------	-----------------	-----------------	------------------------

ხაზინის შესახებ	ხაზინის სტრუქტურა
➤ ხაზინის დებულება	სახაზინო სამსახურის უფროსი-პაპუნა პეტრიაშვილი
➤ ხაზინის სტრუქტურა	სამსახურის უფროსის მოადგილე-ნინო ჭელიშვილი
➤ სიახლეების არქივი	სამსახურის უფროსის მოადგილე-დავით ცეცავა + სტრუქტურული ქვედანაყოფები და ერთეულები + რეგიონალური ხაზინები

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სამსახურის უფროსი“ და „მოადგილები“, სადაც განთავსდებოდა მათ შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, სახელმწიფო ხაზინის მოქმედი დებულების თანახმად, სახელმწიფო ხაზინის უფროსი იმავდროულად არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე; სასურველია, ხსენებულთან დაკავშირებით გაკეთდეს აღნიშვნა შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში.

2. სახელმწიფო ხაზინის სრული დასახელება არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ხოლო ვებ-გვერდზე მოცემულია მხოლოდ შემოკლებული დასახელება:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახელმწიფო ხაზინა

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სახელმწიფო ხაზინის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და ფაქსის ნომერი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სახელმწიფო ხაზინის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

კონტაქტი

მისამართი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახელმწიფო ხაზინა
გორგასალის ქუჩა, №16
(თბილისი 0114, საქართველო)
ტელეფონი: +995 32 26 15 28
ელ-ფოსტა: infotreasury@mof.ge

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის - დეპარტამენტის, მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულების - სამმართველოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სახელმწიფო ხაზინის დაფუმნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია. ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-) განყოფილება, სათაურად „ისტორია“.

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სახელმწიფო ხაზინის ძირითადი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების აღწერა.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე);
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისალების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.
- სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ხაზინის სტრუქტურა“ მოცემულია სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:

ხაზინის სტრუქტურა

სახაზინო სამსახურის უფროსი-პაპუნა პეტრიაშვილი

„სამსახურის უფროსის მოადგილე-ნინო ჭელიშვილი

„სამსახურის უფროსის მოადგილე-დავით ხევავა

■ სტრუქტურული ქვედანაყოფები და ერთეულები

+ მომსახურების დეპარტამენტი-სოფიო ნემსაძე

+ სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტი-ლევან თოდუა

+ შიდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დეპარტამენტი-ერეკლე ლვალაძე

„ანგარიშსწორების დეპარტამენტი-ზაზა რუხაძა

+ აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტი-ზურაბ თოლორდავა

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, პროგრამები და პროექტები (მათ

შორის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების საერთო მეთოდოლოგიის, დებულებების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების, ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების და ანგარიშების ფორმების, ნორმებისა და წესების პროექტები, აგრეთვე, საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის ხელმშეწყობი პროექტები და სახელმწიფო ხაზინის ფუნქციონირების სრულყოფის მიზნით პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტები), სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებზე ფულადი სახსრების გაცემის ყოველთვიური ფინანსური გეგმები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის ყოველწლიური გეგმები, სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის ამსახველი 2011 წლის მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები (მოცემულია მხოლოდ 2010 წლის ანგარიში), ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის მიერ მომზადებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების შესრულების ანგარიშგება) და ა.შ.

არ მოძიება, აგრეთვე, სახელმწიფო ხაზინის მიერ წარმოებული სახელმწიფო საშინაო ვალის რეესტრი, სახელმწიფო შიდა და საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების ერთიანი რეესტრი; მომსახურების დეპარტამენტის მიერ წარმოებული რეგისტრირებული საგადასახადო მოთხოვნების რეესტრი; აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის მიერ წარმოებული ხაზინის ანგარიშებიდან თანხების ჩამოჭრაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების რეესტრი.

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

10. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ხაზინის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სიახლეების არქივი“ წარმოდგენილი საინფორმაციო ხასიათის ცნობები მოიცავს თითქმის მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის მიერ განხორციელებული აუქციონების შედეგების მიმოხილვას; ვებ-გვერდზე არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;
- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის უფროსის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

ამასთან, მოცემულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილი საინფორმაციო ხასიათის უკანასკნელი ცნობა თარიღდება 2010 წლის ნოემბრის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს

სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის შესახებ 2010 წლის ნოემბრის თვემდე და განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

08.09.2010	სრულად
8 სექტემბერს სახაზინო ოპლიგაციების აუქციონზე ემიტირებული იქნა 20 000 000 ლარის ღირებულების 731 დღიანი ფასიანი ქაღალდები, კუპონის განაკვეთმა 15.6% შეადგინა.	
01.09.2010	სრულად
1 სექტემბერს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე ემიტირებული იქნა 5 000 000 ლარის ღირებულების 182 დღიანი ფასიანი ქაღალდები, საშუალო შეწონილმა განაკვეთმა 10.84% შეადგინა.	
25.08.2010	სრულად
25 აგვისტოს გამართული სახაზინო ვალდებულებების აუქციონის შედეგები	
18.08.2010	სრულად
18 აგვისტოს გამართული სახაზინო ვალდებულებების აუქციონის შედეგები	
17.08.2010	სრულად
დღოის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS)	
16.08.2010	სრულად
სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვა	
16.08.2010	სრულად
11 აგვისტოს გამართული სახაზინო ვალდებულებების აუქციონის შედეგები	
16.08.2010 	სრულად
საერთაშორისო საბანკო ანგარიშების ნომრების ფორმატი (IBAN)	

1

2

3


11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის 2010 წლის ანგარიში მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, კერძოდ, განყოფილებაში სათაურად „რეფორმები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში პრეზენტაციები:

რეფორმები

- ▶ PFM რეფორმა
- ▶ PFMS რეფორმა
- ▶ აღრიცვების სისტემის რეფორმა
- ▶ ელექტრონული მომსახურება
- ▶ RTGS
- ▶ პრეზენტაციები

პრეზენტაციები

-   სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის 2010 წლის შედეგები
-  სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა
-  სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები
-  2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრების საპროგნოზო მაჩვენებლები

12. ვებ-გვერდზე არსებულ ალოგიკურ განყოფილებაში, კერძოდ, განყოფილებაში სათაურად „რეფორმები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში პრეზენტაციები, განთავსებულ დოკუმენტებში წარმოდგენილი სტატისტიკა სასურველია განთავსდეს, აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განცალკევებულ განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „სტატისტიკა და ანალიტიკა“:

The screenshot shows the eTreasury website's main menu at the top with links to 'მთავარი', 'ხაზინის შესახებ', 'ნორმატიული ბაზა', 'სახაზინო კოდები', 'სახაზინო კალაგებულებები', and 'რეფორმები'. Below the menu, there is a sidebar titled 'რეფორმები' containing links to PFM, PFMS, აღრიცხვის სისტემის რეფორმა, ელექტრონული მომსახურება, and RTGS, with 'პრეზენტაციები' highlighted with a red border. The main content area features a title 'პრეზენტაციები' and a list of four items, each preceded by a small icon:

- სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის 2010 წლის შედეგები
- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა
- სახელმწიფო ფასიანი კადალფები
- 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრების საპროგრამო მაჩვენებლები

To the right, there is a sidebar with the Georgia coat of arms, the text 'საქართველოს ფინანსთა სამინისტრო', the 'eTreasury' logo, a question 'კითხვა-პასუხი რა ხარჯების აღება ხდება ვარტალური განვითარებით?', and a blue button 'პასუხი'.

The screenshot shows the 'eTreasury' logo at the top. Below it, there are two main sections:

კითხვა-პასუხი
როგორ და რა თანხების განთავსება ხდება ხაზინის ერთაან ანგარიშზე დეპოზიტების სახით?

სტატისტიკა და ანალიტიკა

სახელმწიფო
ბიუჯეტი

A yellow bar chart titled 'ბიუჯეტი' is displayed, showing a projected budget line starting from a low point and rising sharply towards the end of the period.

სასურველია, ხსენებული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში სატაურად „სტატისტიკა“.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე

მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინა. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინა.

14. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სახელმწიფო ხაზინის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

15. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ნორმატიული ბაზა“ განთავსდეს აგრეთვე, სახელმწიფო ხაზინის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სახელმწიფო ხაზინის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის უფროსის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტების ფუნქციების და ამოცანების განმსაზღვრელი დებულება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სახელმწიფო ხაზინის ლოგო);

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტი - შინაგანაწესი (რომელიც, არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ (ქვე)-განყოფილებაში.

აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე უნდა მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
 - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
 - საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
 - საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
 - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
 - საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“;
 - საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
 - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სახელმწიფო ხაზინაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სახელმწიფო ხაზინასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სახელმწიფო ხაზინასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა (მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები) ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სახელმწიფო ხაზინის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სახელმწიფო ხაზინი მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სახელმწიფო ხაზინის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ზიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ხაზინის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი”, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სახელმწიფო ხაზინის მიერ ამ ინფორმაციის ვებგვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saxazinosams_bijueti.pdf;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და სამტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი”, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სახელმწიფო ხაზინის მიერ ამ ინფორმაციის ვებგვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saxazinosams_xelfasi.pdf

აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისათვის მიმართული განცხადებით გამოითხოვა


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე, და 40-ე მუხლების საფუძველზე სახაზინო სამსახურის თანამშრომელთა სია და ინფორმაცია სამსახურის თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია, რომელიც, ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სახელმწიფო ხაზინის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saxazinosaia_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სახელმწიფო ხაზინის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინა;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.


შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:

ტექნიკური პარამეტრების გამართულობა და არსებობა
ოფიციალურ ვებ-გვერდზე



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

სამიებო სისტემის ბმულს გადავყავართ მთავარ გვერდზე:

The screenshot shows the top navigation bar with five items: მთავარი, ხაზინის შესახებ, ნორმატიული ბაზა, სახაზინო კოდები, and სახა. Below this is a secondary menu titled 'ნორმატიული ბაზა' containing six items: წესები და ინსტრუქციები, სხვა ნორმატიული აქტები, სამიებო სისტემა (which is highlighted with a yellow box), სასარგებლო ბმულები, and განსახილველი პროექტები.

სხვა ნორმატიული აქტები

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 აღმისავალი
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცებულება
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №81: სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარე მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მისამართის განსაზღვრების და მიმღებელის დამტკიცებულება
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1: მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მოსამსახურის დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1: აღრიცხვა-ანგარიშების ფორმების და რეგისტრირების დამტკიცებულება
- სახართველოს დინამიკა მინისტრის ბრძანება N1: მინისტრის მიმღებელის და მიმღებელის მიმღებელის დამტკიცებულება

იმ შემთხვევაში, თუ სამიებო სისტემა მზად არ იმყოფება, სჯობს საერთოდ ამოვარდეს ეს ბმული გვერდიდან ან დაეწეროს, რომ მზადების პროცესშია;

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდის საკონტაქტო გვერდს აუცილებლად უნდა ქონდეს საკონტაქტო ფორმა, რათა მომხმარებელს გაუადვილდეს ადმინისტრაციასთან კონტაქტი:

The screenshot shows the 'კონტაქტი' (Contact) page. It includes a title 'კონტაქტი', a subtitle 'მისამართი:', and a text block with contact information: 'საქართველოს ფინანსთა მინისტროს
სახელმწიფო ხაზინა
გორგასალის ქუჩა, №16
(თბილისი 0114, საქართველო)
ტელეფონი: +995 32 26 15 28
ელ-ფოსტა: infotreasury@mof.ge'. On the right side, there is a sidebar with the Georgian coat of arms and a small window showing a message in Georgian: 'საჭირო რეგისტრაცია სარგებლივ გარემონტირებულ სასტურაველოში'.

- სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდზე ნავიგაციის დროს, ხშირად ხდება მსგავსი შეცდომები:

Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please set the "mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="Off"/>
    </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "customErrors" section of the Web.Config file.

```
<!-- Web.Config Configuration File -->


<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="RemoteOnly" defaultRedirect="mycustompage.htm"
    </system.web>
</configuration>
```

ბმულის გენერაცია დამოკიდებულია URL-ს (ვებ-გვერდის სრული მისამართის) შემცველობაზე, შესაბამისად თუ URL შეიცვალა ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდება ბმულის სწორი ფორმაცია, შედეგად ვარდება შეცდომა;

ვებ-გვერდის ავტორიზაციის მოდული არ ფუნქციონირებს:



სიახლეების გამოწერის მოდული არ ფუნქციონირებს ან არ აქვს რეპორტინგის სისტემა:



ვებ-ბრაუზერ „Opera“-ში სტანდარტულ ფონტად არ არის მითითებული Sylfaen-ი (ქართული სტანდარტული უნიკოდური ფონტი), რის გამოც ამ ბრაუზერში ტექსტები ჩანს სხვა ფონტით:

A screenshot of the Georgia State Treasury website. At the top, there are language selection buttons for 'Geo' and 'Eng', and a search bar. Below the header is the logo of the State Treasury and the text 'საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა'. The main content area features a 'კითხვა-პასუხი (FAQ)' section with several collapsed questions. To the right of this section is a sidebar with a 'Treasury' logo and sections for 'კითხვა-პასუხი', 'საქართველოს ფინანსთა სამინისტრო', and 'სახელმწიფო გადახულებები'. There are also links for 'მომსახურება', 'მომსახურების შესახებ', 'ნორმატიული ბაზა', 'სახაზინო კოდეტი', 'სახაზინო ვალდებულებები', and 'რეფორმები'.

➤ ონლაინ სერვისები

სიახლეების გამოწერის მოდულში თუ ჩავწერთ რაიმე ინფორმაციას და შემდეგ დავაჭროთ Enter-ის ღილაკს, აღმოვჩნდებით მთავარ გვერდზე:

The screenshot shows the official exchange rates page from etreasury.ge. At the top, it displays the date "14 Nov. 2011". Below that, there's a table with three rows: USD (1.6591), EUR (2.2604), and GBP (2.6390). Each row has a small downward arrow icon next to the value. Below the table is a "more" link with a yellow arrow icon. To the left of the main content area, there's a sidebar with a "Subscribe" button and a text input field containing "gregseg" with a "»" button next to it. At the bottom of the sidebar are "twitter" and "facebook" links.

რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს, ამ მოდულის არასწორად ფუნქციონალურობას;

ვებ-გვერდს აქვს HTTPS მხადაჭერა, რაც ქართულ ინტერნეტ სივრცეში საკმაოდ იშვიათია, ეს მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია. ამ პროტოკოლის მეშვეობით მომხმარებლების ინფორმაცია, რომელსაც ავსებს ვებ-გვერდზე იქნება დაცული და დაშიფრული:

The screenshot shows the Georgia State Treasury website at https://www.etreasury.ge/current/. The page features the Georgia State Treasury logo and the title "სახელმწიფო ხაზის ელექტრონული მომსახურებისა და მომსახურების სისტემა". It includes a sidebar with dropdown menus for "სახელმწიფო კოდი", "მომსახურებელი", "ჰართული", and "დიკიპასის კოდი", along with a "შესვლა" button. The main content area contains several large bold headings in Georgian, such as "ფურადღება!!!", "ფურადღება !!!", and "ფურადღება !!!", followed by detailed explanatory text in Georgian. The footer contains the year "(2011 | 2010)".

➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდის ზოგიერთი ღილაკი და ბმული არ არის სწორად გენერირებული, მაგალითად შემდეგი:

მთავარი | საზინის შესახებ | ნორმატიული ბაზა

რეფორმები

- ▶ PFM რეფორმა
- ▶ PFMS რეფორმა
- ▶ აღრიცხვის სისტემის რეფორმა**
- ▶ ელექტრონული მომსახურება
- ▶ RTGS
- ▶ პრეზენტაციები

აღრიცხვა

სახელმწიფო საფრანგეთში, სპარსებით საადრიცხვის საახორციელებელი სექტორში ბურჯის რეფორმის გაწლის 19 თებერვალით მომდევნობილ სტანდარტები სხდომა.

საჯარო სექტორ

ვებ-გვერდზე გამოყენებულია ტექნოლოგია, რომელიც ართულებს ინფორმაციის გაზიარებას და გავრცელებას. ეს ტექნოლოგია გამოყენებულია კითხვა-პასუხის გვერდზე:

ჩიუჯეტში გადახდილი თანხების დაბრუნება ან/და შეცდომის გასწორება

შევითხვა: როგორ დავიბრუნოთ ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხა (გადასასამართლოს გადამხდელი) თანხა ბრუნდება გადამხდელის წერილობითი განც თან უნდა ახლდეს იმ აღმასრულებელი, სასამართლო ან საკანონმდებლო ხელისუფლების, აგრეთვ ადგილობრივი თვითმართველობის შესაბამისი ორგანოს წერილობითი დასწური (უფლებამოსი ბეჭდით) თანხის ზედმეტად ან შეცდომით ჩარიცხვის შესახებ, ვისი გაწეული მომსახურების სანაც თანხები.

შევითხვა: როგორ უნდა დავიბრუნოთ სასამართლოს საქმის წარმოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, წერილობითი კოდის სასარგებლოთაც ბრუნდება სახელმწიფო ბაჟი, წერილობითი კოდის სახელმწიფო ბაჟინას, რომელსაც თან უნდა ახლდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს ფურცელი* და თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლ

შევითხვა: როგორ ხდება შემოსულობის სახაზინო კოდზე შეცდომით გადახდილი თანხის სხვა სა (გადასახადების გარდა)?

პასუხი: სახელმწიფო ხაზინას გადამხდელი მიმართავს წერილობითი განცხადებით, თანხის სახაზინის მიმბოლოების მითართვისა და თანხის სწორ სახაზინო კოდზე გადატანის თაობაზე, რომელსაც თა აღმასრულებელი, სასამართლო ან საკანონმდებლო ხელისუფლების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და თვითმართველობის შესაბამისი ორგანოს წერილობითი დასწური (უფლებამოსილი პირის ხელმი შეცდომით ჩარიცხვის შესახებ, ვისი გაწეული მომსახურების სანაცვლოდაც იქნა გადახდილი სხვა);

როდესაც კონკრეტული პასუხის გაზიარება ან გავრცელება გვსურს, როგორც სხვა გვერდებზე, ვიღებთ მთლიან ვებ-გვერდის დასახელებას, ამ შემთხვევაში:

<http://www.treasury.gov/faq#50>

და ვავრცელებთ მაგალითად სოციალურ ქსელ Facebook-ში, როდესაც სხვა მომხმარებელი ამ ბმულს გახსნის, ის მოხვდება გვერდის თავში, რეალურად კი პასუხი არის გვერდის შუაში. თუ ამ ტექნოლოგიას იყენებს ვებ-გვერდი, საჭიროა მისი დახვეწია, ისე რომ ბმულის გავრცელების დროს ინფორმაციის მოძიება იყოს ზუსტი;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს აქვს გაუთვალისწინებელი ხარვეზები, მაგალითად ნავიგაციის დრო ხდება შეცდომები, ასევე ისეთი მოდულები, როგორებიც არის სახლეების გამოწერა, ავტორიზაცია და სხვა არ ფუნქციონირებს, ან მისი ფუნქციონალურობა გაკეთებულია ისე, რომ მომხმარებლისთვის გაუგებარია.

ზოგადად ვებ-გვერდი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმა მასში აშკარად დასახვეწია პროგრამული კოდი;